№ 217. პარასკევი, 6 ივნისი. 1896—1897 პარასკევი, 6 ივნისი № 217.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ხელის-მომწერთა საყურადღებოდ

პირველ ივნისიდგან გაზეთი

წლის დამლევამდე «საქართველოს კალენდრით»

ღირს ოთხი |4| მანათი.

მ. პ. პრესმანი

უსრულებს დავალებას, ვისაც ჰსურს იყიდოს, გაჰყიდოს, დააგიროს, ანუ გადააგიროს მამულები. კონტორას ჰყავს თავისი „ლესნიჩი“, რომელიც შეადგენს მამულების გეგმებს და დააფასებს.

კონტორა იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, „მეტროპოლის“ ნომრებში, № 17, ახალის თეატრის პირდაპირ. (20—4)

ქართველ მკითხველთა საყურადღებოდ

ჩვენ განვიზრახეთ ცნობილ რუსის ე. ვოდოვოზოვის თხზულება

«როგორ ცხოვრობს ხალხი ქვეყანაზე»

(ინგლისელები, იტალიელები და გერმანელები)

ქართულად ვთარგმნოთ და დავსტამბოთ.

ჩვენი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ ეს სასარგებლო წიგნი ქართველ საზოგადოებაში გავრცელდეს. ამიტომ, ჩვენ განვიზრახეთ წინ-და წინ ხელის-მოწერით შევაგროვოთ მის გამოცემისათვის საჭირო ფული.

წიგნი სამ ტომად გამოვა, ექნება 600 გვერდამდე, 18—30-მდე სურათები და ეღირება 1 მანათი და 20 კაპ.

ვინც წინდაწინ შემოიტანს ფულს, წიგნი დაეთმობა მანათად.

გამოცემას ჰკისრულობს ამხანაგობა „გლეხი“.

ხელის-მოწერა მიიღება შემდეგს ადგილებში:

ტფილისში—ბ ნ ზაქ. ჭიჭინაძესთან; **გორში**—ექვთიმე კოპლატაძესთან; **ხაშურში**—სტეფანე ნოზაძესთან; **ჭიათურაში**—ერმალოზ კიწმარეიშვილთან და გერასიმე ბერიძესთან; **საჩხერეში**—იასონ ლამბაშიძესთან; **შორაპანში**—ლიკო ნადირაძესთან; **ზესტაფონში**—ილია მალაკელიძესთან, ვანო არდიშვილთან და ტრიფონ ნიორაძესთან; **ოზურგეთში**—ლადიკო ჩხაიძესთან; **ქუთაისში**—თეოფილე ხუსკივაძესთან, ბეჟანეიშვილისა და ჭილაძის წიგნის მაღაზიებში და მიტროფანე ლაღიძესთან; **ახალ-სენაკში**—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში; **ბათომში**—მიხეილ გაჩეჩილაძესთან; **სოხუმში**—მამა ბესარიონ ხელაიასთან და ყარპეზ წეროძესთან; **გუდაუთში**—ბაგრატ მჭედლიძესთან; **ნოვოროსისკში**—სილოვან კალანდაძესთან და სხვაგან ყველა წიგნის მაღაზიებში.

პირდაპირ ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: **Батумъ, Михалу Гачечиладзе.** (30—8)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას

ხე-ტყის ქარხანა

კოდორი, სოხუმის ოლქში

ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.

ერთად-ერთი ქარხანაა მთელ კავკასიაში, რომელიც ამზადებს

წაბლის ფიცრებს

ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.

ფასი მასალებისა მეტად იაფია

დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში. მსურველთ შეუძლიათ ქარხანას მიჰმართონ შემდეგს ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, ანუ Очемчиры, Теймуразу Чачава. (300—113)

1896 წელს ჩემ მიერ გამოცემული

ცხრამეტი წიგნი და ერთი ალბომი

„ქართველთა ცხოვრება“ ასამდე სურათით

და მშვენიერის ყდით გაეგზავნება მსურველს

5 მანათად.

ადრესი: ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს. (15—7)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდნეკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. ზუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. ზუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 6 $^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინის ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ზ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ზ თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ა. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ძ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ზ. თოფურია.**

(წ.)

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.
„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“

4 ივნისი.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის ავადმყოფობის ბიულეტენი: მთელი ღამე მის უდიდებულესობას ღრმად ეძინა; ტემპერატურა და მაჯა ნორმალურია; თვით-გრძნობიერება კარგია.

დიდი მთავრინა ტატიანა ნიკოლოზის ასული აგრეთვე ჯან-საღად არის.

ხელმწიფე იმპერატორმა აბისინიაში ავადმყოფთა და დაჭრილთა ჯარისკაცების ექიმობის დროს განსაკუთრებულის გარჯილობისა გამო, უბოძა სამხედრო აკადემიის სტუდენტებს—კონსტანტინე კრეჩუნსკოს, პავლე გილლერს, პეტრე შუსევს და გიორგი თეოდოროვს—წმ. სტანისლავის მე 3 ხარისხის ორდენის კავალერობა.

უმაღლესის ბრძანებით ებოძათ სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის და იმის განსაკუთრებულ განყოფილების თავად-აზნაურთ—მსესხებლთ ხსენებული ბანკის წინაშე ვალდებულების შესრულების შემსუბუქება. სხვათა შორის, 1897 წლის 1 მაისიდგან ყველა გაცემულის სესხის, რომელიც შთამომავლობით თავად-აზნაურთა მამულებზე ითვლება, ზრდის პროცენტი, ამავე წლის მაისის ვადიდგან, დაკლებულ იქმნება წლიწადში 4-დგან $3^1/_2$-მდე.

კალკუტა. მადრასის ჩრდილოეთით მდებარე ყველა ქალაქებიდგან იუწყებიან იმ ზარალის შესახებ, რომელიც 12 ივნისს მიწის ძვრამ მიაყენა. საშინელმა წვიმამ გაათრკეცა ზარალი. დიდი ბანკეტი, რომელიც დედოფლის ვიქტორიას იუბილეის გამო უნდა მომხდარიყო, გადაიდო, რადგანაც ბევრი ხალხის ერთს შენობაში შეკრება საშიშოა. ათასი უსახლკაროდ დარჩენილი ევროპიელი და მკვიდრი მცხოვრებელი, გარეთ ატარებს დღე-ღამეს.

კონსტანტინეპოლი. წყალ-დიდობა. ჯერ არ შეჩერებულა. მუსტაფა-ფაშა, ადრიანი, ანოპოლი წალეკილია. რკინის გზის მიმოსვლა სხვა სახელმწიფოებთან შეწყვეტილია. მინდვრები ყველგან ძლიერ დაშავებულია.

პორტამ მისწერა ქალაქ ფილოს ოსმალეთის გუბერნატორს, რომ მან გააუქმოს თვისის ნებით გაცემული განკარგულება გადასახლებულის თესალიელების მამულების კონფისკაციის შესახებ.

ხუთშაბათს მოხდება მე 4 სხდომა, რომელზედაც ოსმალეთს და საბერძნეთს შორის ზავის შესახებ მოლაპარაკება ექმნებათ.

ახალი ამბავი

*** **ქართულის თეატრის საქმე.** გუშინ-წინ, 4 ივნისს, ძლივს გათავდა ქართულ დრამატიულ საზოგადოების კრება, რომელიც „ათას ერთი ღამის“ ზღაპარივით გაგრძელდა. საინტერესოდ დაგრჩებათ იცოდეთ, თუ რად გაგრძელდა სამის დღის მანძილზედ ის კრება, რომელიც სამს საათში უნდა გათავებულიყო. ამისი მადლობელი უნდა ვიყვნეთ, ერთის მხრით, სიტყვა-მრავალის და საქმემცირის გამგეობისა და მეორეს მხრივ ზოგიერთის ორატორებისა, რომელნიც ორ-ორი საათობით ლაპარაკობდნენ და მაინც ვერ გააგებინებდნენ ხოლმე კრებას, რა უნდათ ბრძანონ.

გამგეობა, რომელსაც ჩვენმა გაზეთმა იმდენი უკიჟინა თავისს დროზედ, სწორედ ჯარს აცვა ბ-ნმა ივანე მჭედლიშვილმა. ეს ყმაწვილი კაცი წამ-და-უწუმ სწვდებოდა ხოლმე ხიჩინფში გამგეობას: „რაში მიეცით ბ-ნს ყარაევს 200 მანათი, განა თქვენ იმდენი ფული გქონდათ, რომ მუქთად გერიგებინათო“.

საინტერესოა, მართლაც, ისტორია «ყარაევის ხოროსი» და იმ 200 მანათისა. სიტყვა-მრავალმა გამგეობამ ძალიან ვრცლად ახსნა, თუ ვითარ დაებადა მას ჩინებული აზრი—იყოლიოს საკუთარი ხორო, ვითარი დიდი შრომა გასწია, ეს დიადი თვისი აზრი მოეყვანა განხორციელებაში, ვითარი განსაცდელნი გამოიარა წამებულმა გამგეობამ და აჰა!.. ბოლოს მოაწყო საქმე ჩინებულად, დააარსა მუდმივი ქართული ხორო და მიუჩინა მას ლოტბარად და მასწავლებლად გამოჩენილი მცოდნე მუსიკისა ბ-ნი ყარაევი. უკვე არსებული ხოროები არ აკმაყოფილებდნენ გამგეობის დიდად განვითარებულს ესტეტიურს გრძნობებს, მათ მოაწყეს და მოაგვარეს ახალი ხორო,—ხორო ევროპიულად დაყენებული, სავსე ყელამდის ცოდნით, დისციპლინით. ერთის სიტყვით, ეს საგანი ისე იყო გაზვიადებული გამგეობის მოხსენებაში, რომ მსმენელი უეჭველად იფიქრებდა: ნუ თუ ესოდენის ღვაწლისათვის არ უნდა ჩავრიცხოთ წევრნი ჩვენის გამგეობისანი უკვდავთა შორისო! ესოდენ დიდის და საქვეყნო საქმისათვის გამგეობას დაუხარჯავს ბუჩუღები—სულ 200 მანათი. აქაც რა გვეთქმის მადლობის მეტი. მსმენელთა გული კვლავ აღივსო გრძნობით მადლობისა და განუსაზღვრელის პატივის-ცემისა დაუფასებელის გამგეობისადმი. მერე, ასე გაჩარხული საქმე საერო ქართულის ხოროსი განა უკანტროლოდ სწარმოებდა გამგეობის მხრივ? აბა, თქვენგან არ მიკვირს, რა საფიქრებელია!

იგივე სიტყვა-წყლიანი მოხსენება გვამცნებს, რომ ერთი წევრი გამგეობისა ბძანდებოდა ბ. ყარაევთან, მოისმინა ტკბილი გალობა ახალის ხოროსი და ისეთი ნასიამოვნები და-

ბრუნდა, რომ ამხანაგთ ეუბნებოდა: Ну, други! ვინც ერთხელ იგემა სიტკბო, მას მწარე აღარ უნდა, ჩვენი ხორო, ჩვენი ხორო! მის შემდეგ აღარ მრწამს მე აღარც ოპერა, არც ოპერეტი, არც დრამა! კაცს უნდა, რომ სულ ბ. ყარაევთან იყოს და ჩვენის ხოროს სირინოზის ხმა ისმინოს.

აქ კვლავ გული აუტოკდა კრებას და სიამოვნების ცრემლი დაღვარა. ასე კარგად მიდიოდა „ყარაევის ხოროს“ საქმე... ასეც დამთავრდებოდა. მაგრამ აგერ გამოვარდა ჩათუქესანი ჩოხოსანი ბ. ი. მჭედლიშვილი და აღგზნებულის კილოთი მოახსენა საზოგადოებას: ბატონებო, რის ხორო, რის ფლავი, რის ბოზბაში! არც ხორო არსებობს, არც ვინმე დაიარება ბ. ყარაევთან, არცა ვინ სწავლობს. ეგ სულ ცარიელი სიტყვებიაო! კრებამ ყურები აცქვიტა. როგორ? მაშ მოხსენება? 200 მანათი?.

ხმა ისმის: აგვიხსენით, ეს რა ამბავია?.

მეორე ხმა: მართალია, მეც ვიცი, რომ ბ. ყარაევის ხორო არ არსებობს! ეს გარემოება ფრიად გაიკვირვეს თვით გამგეობის წევრებმაც. ერთმა მათგანმა წამოიძახა კიდეც: მაშ როიალის ქირას დღესაც რისთვის ვაძლევთო?.

— აბა ჩვენ რა ვიცით, რისთვის აძლევთო,—გაისმა ხმა საზოგადოებაში.

ესეც გახდა „შაუმოვის სელდები“. რითი იმართლა თავი გამგეობამ, ამაზედ მერე მოგახსენებთ.

⁂ **წრეს-გადასულ მწერლობის გამო.** (პასუხად „კვალის“ რედაქტორს). „კვალის“ 23 № ში დაბეჭდილია ვითომ-ხუმრობა, სათაურით: „გოჯასპირ და ივანიკა“. ავტორს წერილისას ენაზე ნაღველა დაუსხამს და პირ-ახეულადა ჰლანძღავს ყველას, ვისი სახელიც-კი მოჰგონებია. მათს შორის მეც, ანუ უკეთ, ჩემს საცოდავს გვარს (სადამდე დავკნინდით!), არ ამცდა ასეთი ბედი. აქაოდა, თ. სახოკია არ თანაუგრძნობს „კვალსა“ და სხვა ქართველებთან ერთად ისიც აღშფოთებულია იმ სიტყვისათვის, რომელიც ბ-ნმა გ. წერეთელმა იხმარა „კვალის“ ერთ-ერთ ნომერში და რომლითაც მეგრელები ქართველებად არა სცნოვო, ჩემს გასათახსირებლად ავტორს ისეთის იარაღისათვის მიუმართავს, რომელსაც ყველა მართებული ადამიანი ითაკილებდა.

მეტის თქმა ისეთის ოხუნჯობის შესახებ, როგორიც არის ამა თუ იმ გვარის ყბად-აღება, ყოვლად შეუძლებელია: ბრძოლა და კამათი, განსაკუთრებით ლიტერატურული, მაშინ-ღა შეიძლება, ოდეს მოპირდაპირეს ხელთ მართებული იარაღი უპყრია. იმედი გვაქვს, მკითხველი საზოგადოება ჯეროვანსა და მიუკერძველს მსჯავრს დასდებს ზემოხსენებულის ოხუნჯობის ავტორს. ვისვის, მაგრამ მანდილოსანს, და ისიც ქართველს, არ შეჰფერის ასეთს უმართებულო სიტყვა-პასუხს ადგილი დაუთმოს თავისს ორგანოში. დარწმუნებული ბრძანდებოდეს, ასეთის საშუალებით ფონს ვერავინ გავა. ასეთისავე საშუალებით კაცი იმდენს სხვას ვერას დააკლებს, რამდენს ზიანსაც თავისს თავს მოუტანს.

თ. სახოკია.

⁂ **ტფილისის კადეტთა კორპუსი.** წელს, კადეტთა კორპუსში სულ 34 ახალგაზდას დაუმთავრებია სწავლა და აპირებენ სხვა-და-სხვა უმაღლესს სამხედრო სასწავლებლებში გამგზავრებას: მათ შორის 7 ქართველია: ალექსანდრეს ქვეითი-ჯარის სასწავლებელში მიდიან: მიხეილ იმნაძე, ვიქტორ მდივანი და ერასტი ფურცელაძე; კონსტანტინეს არტილერიის სასწავლებელში: ნიკოლოზ ზედგინიძე და თავ. როსტომ წერეთელი; ნიკოლოზის კავალერიის სასწავლებელში: თ. დ. ჭავჭავაძე და უმაღლესს სატეხნიკო სასწავლებელში— მიხეილ ბერიძე.

⁂ **ინჟინრის ვ. გ. ბალინსკის გაძარცვის საქმე.** 4 ივნისს, ტფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნული იყო განსახილველად სპირიდონ იშხნელისა და ოვაკიმ ანტონოვის საქმე, რომელთაც ჰბრალდებათ ინჟინერის ბალინსკის გასაძარცვავად თავ-დასხმა და მოკვლის დაპირება. ამ საქმეზედ დაბარებულნი იყვნენ 66 კაცი მოწმედ და ამათგან მხოლოდ 25 კაცი გამოცხადდა. სხვათა შორის, სასამართლოში დაბარებულნი იყვნენ ბორჩალოს მაზრის უფროსი თავ. სუმბათაშვილი და ბორჩალოსავე მაზრის პოლიციის რამდენიმე მოხელე. 4 ივნისს, სასამართლოს ქაღალდი მოუვიდა მაზრის უფროსის თ. სუმბათაშვილისაგან, რომელშიაც მოხსენებული იყო, რომ ვერც ისა და ვერც პოლიციის სხვა მოხელენი ვერ გამოცხადდებიან სასამართლოში, რადგან ამ ჟამად ბორჩალოს მაზრის სასამართლოს რევიზიას უშვრება მთავრობა. ოლქის სასამართლომ ამის გამო საქმე გადასდო 30 ივნისისათვის, ხოლო თავ. სუმბათაშვილისაგან წარმოდგენილი გამოუცხადებლობის მიზეზი პატივსადებად არ იცნო, დააჯარიმა პოლიციის მოხელენი გამოუცხადებლობისათვის (მათგან თ. სუმბათაშვილი 50 მანათით) და დაადგინა, რომ მაზრის უფროსის მოქმედება მოხსენდეს ბ. ტფილისის გუბერნატორს.

⁂ **მეაგარაკეთა შევიწროებული მდგომარეობა.** ურიგო არ იქმნებოდა, რომ ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობა განკარგულებას მოახდენდეს იმის შესახებ, რომ ცოტათი შეაჩერონ ხოლმე მატარებელნი სადგ. გრაკალში და ქობულეთში, სადაც ზაფხულობით დიდ-ძალი მეაგარაკენი იყრიან თავს, რომელნიც ამ ჟამად იძულებულნი არიან მხოლოდ ღამის მატარებლით იმოგზაურონ ხოლმე ქ. ტფილისიდამ იმ სადგურებამდე.

⁂ **ტფილისის დედათა მესამე გიმნაზიის წლიური აქტი.** 4 ივნისს, ტფილისის დედათა მესამე გიმნაზიის წლიური აქტი იყო. 189$^6/_{97}$ წლის ანგარიშიდანა სჩანს, რომ გიმნაზიაში სულ 298 მოწაფე ყოფილა: 65,5$^0/_0$—სომეხი, 19,1$^0/_0$—რუსი, 7,7$^0/_0$—ქართველი, 2$^0/_0$—ებრაელი და სხვა-და-სხვა ტომისანი—5,7$^0/_0$.

სხვათა შორის, წელს 20 მოწაფეთაგან ორს ქართველს დაუმთავრებია გიმნაზიის კურსი: სოფიო მამრაძისას და ივლიტე ფალავანდიშვილისას.

⁂ **დრამატიულ კომიტეტის ახალი წევრები.** 4 ივნისს საზოგადო კრებამ გაათავა წლიურის ანგარიშის განხილვა და ნაცვლად იმ პირთა, რომელნიც თავის ნებით გამოვიდნენ გამგეობიდამ, აირჩია გამგეობის წევრებად ახალი: ბ. კიტა აბაშიძე და ს. ვახვახიშვილი. კანდიდატებად: ჰეჰინაძე ვარლამ, დეკანოზიშვილი გ. ახნაზაროვი არტემ. დანარჩენნი ძველი წევრები დარჩნენ თავ-თავიანთ ადგილზედ, თანახმად კრების თხოვნისა.

⁂ **ქალაქის არჩევანების გამო.** ჩვენ გვატყობინებენ, რომ ნ. ი. თამამშევს, რომელიც ახლად არჩეულ იქმნა ქალაქის საბჭოს ხმოსნად, განუსაჩივრებია ქალაქის უკანასკნელი არჩევანები. ბ. თამამშევი თავის საჩივარში, სხვათა შორის, ამბობს, რომ არჩევანებზე 12 წვრილმანი მედუქნე და 4 სისხლის სამართლის ქვეშ მყოფი პირნი იღებდნენ მონაწილეობას, კანონის წინააღმდეგაო.

⁂ **ბათომის „ნავთის ქალაქის“ გამო.** ამ მოკლე ხანში ბ. კავკასიის მთავარ-მართებელის სამხედრო საბჭოს თათბირი ჰქონდა ბათომის „ნავთის ქალაქის“ შესახებ. ბ. მთავარმართებელმა თვით ინება ამას წინედ იმ ალაგის დათვალიერება და მოლაპარაკება იქონია ამ საგანზე ბ. ბ. როტშილდის, ნობელის, მანთაშევის და ბლეის წარმომადგენლებთან. ტფილისში ამ თათბირზე მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქმნა ბათომის ნავთ-სადგურის უფროსი. ჯერ-ჯერობით საიდუმლოდ რჩება, თუ რა დასკვნას დაადგა საბჭო ამ თათბირზე, რადგან ჯერ არაფერი არ ითქმება გარდაწყვეტით. ხოლო ამ მოკლე ხანში საბჭოს განაჩენს წარადგენენ სამინისტროში—იქ სამხედრო საბჭო განიხილავს და შემდეგ წარედგინება სახელმწიფო რჩევას.

⁂ **საოპერატო წარმოდგენები.** გუშინ, 5 ივნისს, ხელ-ახლავ დაიწყო რუსულმა საოპერატო დასმა წარმოდგენების გამართვა საზაფხულო თეატრში („ერმიტაჟი“) ქ. ჩოსნოვსკის მონაწილეობით.

⁂ **სავაჭრო და სამრეწველო ამხანაგობის დაარსება სამეგრელოში.** ბ-ნო რედაქტორო! თქვენს პატივცემულს გაზეთში დაბეჭდილია წერილი სამეგრელოდგან, რომელშიაც უცნობი კორესპოდენტი (ბ-ნი ტელეფონი) ურჩევს აქაურს საზოგადოებას სავაჭრო და სამრეწველო ამხანაგობის დაარსებას ახალ-სენაკში.

ჩვენს დროში კეთილი რჩევა და სურვილიც კი იშვიათია. ამისათვის, ყოველს კეთილ მრჩეველს და მსურველს თანაგრძნობითა და მადლობით უნდა ვიხსენიებდეთ. სწორედ მადლობის ღირსია თქვენი კორესპონდენტიც, თუმცა-კი არა სცოდნია, რომ მისი სურვილი და ნატვრა უკვე განხორციელების გზას დასდგომია და ის ამხანაგობა, რომლის დაარსებასაც ის ურჩევს საზოგადოებას, უკვე არსებობს სამეგრელოში, ახალ-სენაკის მახლობლად, ძველ-სენაკში.

კარგა ხანია, რაც ეს აზრი ტრიალებდა ჩვენს საზოგადოებაში; ბევრჯერა გვქონდა კრება-მოლაპარაკება ამხანაგობის დაარსების შესახებ, შევიმუშავეთ წესდება, ამხანაგობის პირობის ქაღალდი შევადგინეთ და ორი თვეც იქმნება, რაც ხელი მოვაწერეთ, ახალ-სენაკში ნოტარიუსს შევამოწმებინეთ. ავირჩიეთ გამგეობა და სარევიზიო კომისია, ჩავაბარეთ ამხანაგებთაგან შემოსული პაის ფული და საქმეს უკვე შევუდექით. მმართველად გამგეობისა თავმჯდომარედ ავირჩიეთ ბნი სამსონ ყიფიანი, წევრებად ბ—ები ლევან ქავთარაძე და ივლიანე გოგოლაშვილი; ამათგან ერთი ხაზინადარიც არის და მეორე მდივანი. სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ არიან: თავადი ოტია ელიზბარის ძე დადიანი, მღვდელ-ბლაღოჩინი თურქია და მე, თქვენი უმორჩილესი მონა.

ამხანაგობის წევრებად ჩაეწერნენ მრავალი სამეგრელოის სხვა და სხვა კუთხის მცხოვრებნი, განურჩევლად წოდებისა და ქონებისა, და მათ შორის ბევრნი ახალ-სენაკელნიც. ამხანაგობის მცირე ხნის არსებობამ თვალ-საჩინო და სასურველი ნიშანი უკვე დაადო ერთს საგანს ჩვენის წარმოებისას—ყაჯ-აბრეშუმის მოყვანის საქმეს; პარკის ფასმა შესამჩნევად აიწია: გასულს წლებში იყიდებოდა ფუთი ხუთ-ექვს მანათად. წელს დრომ ნება არ მოგვცა კარგი და საღი თესლი დაგვერიგებინა ხალხისათვის და ხელი შეგვეწყო ამ წარმოების გაუმჯობესებისთვის; მომავალში-კი ვეცდებით ყოველ-მხრივ დავეხმაროთ ყოველს სასარგებლო წარმოებას, სამეგრელოს ყველა კუთხეში, სადაც შეიძლება და საჭიროდ დავინახავთ განყოფილება გავხსნათ.

როდესაც საქმე უკვე დაწყებულია და სასურველად მიმდინარეობს, სხვა და სხვა მგზავსივე ამხანაგობის კერძოდ დაარსება მიმაჩნია უადგილოდ და არასასურველად. ამისთანა რჩევა მხოლოდ გამოუცდელ კაცს შეუძლიან. ჩვენ შერთებულის ძალით თუ გავაწყობთ რასმე, თორემ განცალკევებით ყოველი ჩვენგანი მუდამ დაჩაგრული დარჩება.

თ—დი გ. ჩიჩუა.

⁂ **დ. ხაშური** (ზემო ქართლი). **სეტყვა.** 3 ივნისს, ნაშუადღევის ორ საათზე, ძლიერ დიდი სეტყვა მოვიდა ხაშურში. სეტყვას ერთი წვეთი წვიმა არ ჩამოჰყრევია, ისე მშრალად ვარდებოდა ქათმის კვერცხზე უდიდესი სეტყვა. ერთი მარცვალი კიდევაც ასწონეს ბაზარში და ნახევარი გირვანქა მოვიდა. ხაშურის მცხოვრებლები ისე შეშინდნენ ამ უეცარ მოვლენით, რომ ყველამ გადასწყვიტა: ეს არის, ვიღუპებითო; ქალების წივილ-კივილს ბოლო არა ჰქონდა, როდესაც კვერცხისოდენა სეტყვა ურახუნებდა სახლების სახურავს. წვრილ-ფეხობა: ქათამი, ბატი, იხვი და სხვა, რომელიც მინდვრად მოჰყვა, ბევრი გასწყვიტა. საქონელმა მინდვრად შესაზარი ბლავილი მორთო. ბევრს მინდორში მომუშავე კაცებს გაუტეხა თავი სეტყვამ. მცენარეები: ვენახი, სიმინდი, ყანა, ბაღეულობა და ბოსტნეულობა, რასაც მოხვდა სეტყვა, ძალიან გააფუჭა. კიდევ კარგი, რომ ყოვლად მოწყალე ღმერთმა სულ არ გაიმეტა თავისი გაჩენილი ქვეყანა და ამ უეცარმა მოვლენამ ძალიან მალე გადილო; სულ ხუთი წუთი არ გაგრძელებულა სეტყვა, თორემ, თქვენი მტერია, ოც წუთს რომ კიდევ ყოფილიყო, სულ ერთიანად გაანადგურებდა ყველაფერს და დასტოვებდა მშივრად ხაშურის მცხოვრებლებს. როგორც ხაშურში ერთმა მგზავრ სთქვა, სეტყვა ცოტად თუ ბევრა მოსულა სადგურ გომში და ახლო-მახლო სოფლებში.

იოსებ დევაძე.

⁂ **საჩხერე. სავაჭრო ამხანაგობა.***) კვირას, 1-ლ ივნისს, დ. საჩხერეში იყო ქართველთა საალებ-მიცემო ამხანაგობის „შუამავალის“ დაარსების შესახებ ადგილობრივ მცხოვრებთა კრება. ამ კრებამ, რომელზედაც დაესწრო 72 კაცი, განიხილა ამხანაგობის წესდება და გარდასწყვიტა: თვითოეულმა მათგანმა შემოიტანოს სრული წილის ფული დღეიდან სამის თვის განმავლობაში, ე. ი. არა უგვიანეს პირველის მომავალის სექტემბრისა. მიღება ფულისა, მიწერ-მოწერა ხსენებულ ამხანაგობასთან, მოწოდება კრებებისა, მიღება ახალის წევრებისა და ყოველი განკარგულება განყოფილების გახსნის შესახებ კრებამ მიანდო თავ. ანემპედისტო იასეს ძე მაჩაბელს, (რომელიც თავმჯდომარეობდა კრებას), თავ. ბეჟან დავითის ძე წერეთელს და ბ-ნს ფილიპე გრიგოლის ძე მგალობლიშვილს.

⁂ **თელავი. თავის მკვლელობა.** 1 თიბათვეს, დილით 7 საათზე თელავის ბაზარი ფეხზე იდგა. გამოშლილიყო ხალხი ქუჩაში მრავალ ჯგუფებად დაყოფილი ერთსა და იმავეზე ლაპარაკობდა. ამ დილით ამავე დროს შურდულივით გავარდა ხმა, რომ ფირუზ თათუზოვს რევოლვერი დაუცია ზედ ძუძუზე და თავი მოუკლავსო. ეს ხმა მართალი აღმოჩნდა და ხალხის მსჯელობა მიზეზის გამოძიებაში იყო. თვით განსვენებული თელავსა და ტფილისს შუა დილიჟანების მოძრაობას განაგებდა და თელავის თვით-მმართველობაში რამდენისამე თვის წინად დაიჭირა თვით-მმართველობიდამ გამოსული რჩეულის ადგილი. იყო 32—37 წლისა, უცოლშვილო და ეკუთვნოდა მდიდარს ოჯახს. ეს იყო მიზეზი, რომ ხალხი თავის მკვლელობის მიზეზს ეძიებდა. თავის მკვლელს დაუტოვებია ხუთი წერილ, რომელთაგან ორ უკვე გაეხსნათ, ერთი ადგილობრი ბოქაულის სახელობაზედ, რომელსაც სწერდა, სხვას არ დააბრალოთ ჩემი სიკვდილიო და მეორე—ძმის სახელობაზედ, რომელშიაც, სხვათა შორის, ძმას აფიცებდა, რომ ქაღალდ აღარ ითამაშოვო. ამ ამბავს დაემატ რამდენიმე შემთხვევა წაგებისა და გამოვიდა, რომ ქაღალდის თამაშობას სხვათა მიზეზთა შორის უკანასკნელი ადგილი არ ეჭირა ამ საქმეში. თუ დაუმატებთ, რომ ამ უკანასკნელს სამს წელიწადს თელავში გახშირდა იმისთანა თამაშობანი, რომლებსაც კანონი და სინიდისიც სდევნიან; თუ მოვიგონებთ, რომ ამ თამაშობამ მრავალ ახალხაზდას ვნებად გადაუქცია თამაშობა; თუ არ დავივიწყებთ იმასაც, რომ თელავის წიგნთ-საცავის დახმარების საქმე თვით მმართველობამ რაღაცა გაუთავებელი გახადა, წიგნთ-საცავისა, რომელსაც შეეძლო თუ რიგიანად ყოფილიყო მოწყობილი, საუკეთესო და სასარგებლო გართობით შეევსო თავისუფალი დრო ახალგაზდათა,—ყველა ეს იმდენად თვალ-საჩინოა, ბრმა უნდა იყოს კა

---

*) ვისურვებთ, რომ საჩხერის მაგალი სხვა დაბა-სოფლებმაც მიჰბაძონ. რედ.

ცი, რომ არ დაინახოს, საით დარუებულა ცხოვრება ახალგაზდობისა, ამასთან დიდი უგულო და უგრძნობელი უნდა იყოს, რომ ამ სურათმა მაში ადამიანური გრძნობანი არ დაბადოს, ადამიანური მსჯელობა არ გამოიწვიოს და ადამიანურ მოქმედებამდის არ მიიყვანოს! ვნახოთ, რამდენად მგრძნობიარეა თვით-მმართველობა საზოგადო სიდუხ-ჭირისა.

ნადიკვრელი.

⁂ **დ. ხონი.** (იმერეთი) **ჩარჩბის თავ-გასულობა.** ტფილისიდან აქ ჩამოვიდა ერთი ვაჭარი, ვინმე ნიკ. ხითაროვი. ამბობენ მდიდარი ვაჭარიაო. ვსთქვით, აბრეშუმის პარკის ფასებს ასწევსო. ფასის აწევის მაგიერ სულს გვართმევენ მისი ნოქრები—ურიები. როცა გირვანქა პარკის ფასი ხუთი შაურია, ისინი ერთბაშად 28 კაპეიკამდე აიყვანენ ფასს. მხოლოდ სასწორში ატყუებენ, ერთ ფუთზე ხუთსა და მეტს გირვანქა პარკს იპარავენ. უსიამოვნება და ცემა-ტყეპა სასწორზე ყოველ დღე ხდება. ამაზე წინად ერთს სოფლელსაცა სცემეს. საჭიროა, ადმინისტრაციამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და სოფლის ხალხს სარჩლი გაუწიოს.

⁂ **სოფ. წილკანი** (დუშეთის მაზრა). **მოსალოდნელი შიმშილობა.** ჯერ იყო და მინდვრის თაგვებმა გაგვაჩანაგეს, მერე ქარებმა გაფხვიერებულ მიწიდან ძირიანად ამოჰგლიჯეს ჯეჯილი. რაც გადარჩა, ისიც ამ ორის კვირის წინად დაგველუპა. მოვარდა მდ. ნარეკვავი და წილკნის მინდორი სულ წაიღო. სოფლელები ოხვრის მეტს არაფერს აკეთებენ. არ იციან, რითი აიცდინონ მომავალი შიმშილი თავიანთს ბედ-შავ ცოლ-შვილს.

⁂ **დ. აბაშა. შეცდომის გასწორება.** ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ადგილი ებოძოს თქვენს პატივცემულ გაზეთ „ცნობის ფურცლის“ მახლობელ ნომერში შემდეგს შენიშვნას: ბ-ნი აბაშის კორესპონდენტი სწერს, რომ აქ გამართეს სცენის მოყვარულებმა წარმოდგენა სტუდენტ მგელაძის სასარგებლოდ და სხვა... ძლიერ გვაკვირვებს, საიდგან გამოიგონა ბ. კორესპონდენტმა სტუდენტი მგელაძის სასარგებლოდ წარმოდგენის გამართვა. საიდგან და როგორ მოაჭორა ეს ამბავი?! არც ასეთი აშკარა ტყუილი გაგონილა. წარმოდგენა გამართულ იყო აბაშის სკოლის სასარგებლოდ და თუ შემოსავალი საკმაო იქნებოდა, იმ შემთხვევაში ერთი მესამედი გაეგზავნებოდა ერთ ღარიბ მოსწავლე ყმაწვილს და არა სტუდენტ მგელაძეს.

ბარნაბა შარაშიძე.

⁂ **სოფ. საგარეჯო.** (კახეთი). **საქონლის ჭირი.** აქ მოვიდა სამკურნალო განყოფილებისაგან გამოგზავნილი ბეითალი ბ-ნი შიო დედაბრიშვილი საქონლის ჭირის გაჩენის გამოსაკვლევად. როგორც აღმოჩნდა, ივრის პირას, საცა საგარეჯოელებს მინდვრები აქვსთ, ზამთრიდან მოყოლებული ყოფილა საქონლის ჭირი. ბ-ნმა დედაბრიშვილმა ყველა ბოსლებს დეზინფექცია უყო; ავადმყოფი საქონელი კარგად მყოფს მოაშორა და სხვა სათანადო ღონისძიების მიღების შემდეგ ისევ დაბრუნდა ტფილისში, საიდგანაც ისევ ჩამოველით უკან ჭირის საბოლოოდ მოსასპობლად.

⁂ **სოფ. შილდა.** (კახეთი). **გაუსყიდავი ღვინო.** შილდელებს შარშანდელი ღვინოები დარჩათ ბევრი. იმედი ჰქონდათ, გავყიდით და სოფლის ათასნაირ გაჭირვებას გავუძლვებითო. მაგრამ ვილაცამ ხმა დააგდო, ღვინოები არ არის შილდაში გასასყიდიო და ვაჭრებმაც ფეხი ამოიკვეთეს. იმედი უნდა ვიქონიოთ, მყიდველები ამის შემდეგ მაინც დაგვეხდავენ.

⁂ **ნიგოითი.** არაერთხელ გამოთქმულა აზრი ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ქელეხის მოსპობის შესახებ, მაგრამ აქამდე სიტყვა საქმედ არ იყო ქცეული. ეხლახან იჩინა თავი მაგალითმა, რომელმაც ნათლად დაგვიმტკიცა, რომ ხალხი ჰგრძნობს ქელეხის მავნებლობას, მაგრამ რა ქნას, ჩვეულება სჯულზე უმტკიცესიაო, ნათქვამია, და ასეც ამ შემთხვევაში ჩვეულებას მისდევს. მხოლოდ თუ ვინმე საქმით უარ-მყოფელი გამოგვიჩნდება, სიამოვნებით წავბაძავდით და სრულიად მოისპობოდა ჩვენში ესეთი მავნე ჩვეულება.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამას წინად აქ იყო შემთხვევა: ერთმა ოჯახმა უარ ჰყო ტირილზედ ჩვეულებრივი ქელეხი. საზოგადოების თითქმის უმეტესმა ნაწილმა სიხარულით მიიღო ეს მოვლენა, ჩვეულებრივი პატივი სცეს მიცვალებულს, სასაფლაომდის მიაცილეს და შემდეგ სადილისათვის (გასვენება თერთმეტ საათზედ მოხდა) ყველა თავ-თავის სახლში დაბრუნდა.

დღიური მუშა.

⁂ **დ. აბაშა.** (სამეგრელო) **იმედ გაცრუებული.** მესამე წელიწადა მას აქეთ, რაც დ. აბაშაში ფოსტის განყოფილება გაიხსნა; დღეს ყველას შეგნებული აქვს, თუ რა საშუალებას აძლევს ფოსტა ფულის თუ სხვა ამანათების გაგზავნას და მიღებაში. ამისი მიხედვით დ. აბაშის საკეთილდღეოდ ასე მცირე რიცხვმა ვაჭრებისამ შეაგროვეს ფული საკმარისი და წარუდგინეს თვით მთავრობას, აბაშის ნაწილის ბოქაულის შემწეობით, რომელმაც საკმაო დახმარება აღმოუჩინა დაბას. და სხვა მომავალი ხარჯებიც ქალაქმა იკისრა სამი წლის განმავლობაში, როგორც წესდებულება მოითხოვდა. დღემდინ არავინ ჰყოლია ამ კეთილ საქმეს უკმაყოფილო, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში-კი იმედი გაგვიცრუვდა და შეგვექნა სამწუხაროდ და სავალალოდ. აი საქმე რაში მდგომარეობს. რაც ფოსტა დაარსდა, მას აქეთ ხარჯიც დაბამ იკისრა ყოველივე და ერთი გზირიც დაიქირავა წერილებისა და უწყებების თავის დროზე და სატარებლად ვაჭრებისათვის. დღემდი ეს ყოველივე ასე სრულდებოდა. არ ემძიმებოდა დაბას გზირისათვის თორმეტი თუმანი ეძლია წელიწადში. დღეს-კი სრულებით მოგვესპო გაზეთების და სხვა წერილების მიღება თავის დროზე, რადგან დღეის მისალებს ვღებულობთ ხუთის დღის შემდეგ. მიზეზი ასეთის ურიგობისა არავინ იცის. არავინ იცის, თუ რამ აიძულა ამაზე აბაშის ფოსტის უფროსი. მიდიხარ თვითონ შენ ფოსტაში, ბრუნდები ისევე ხელ-ცარიელი. როცა დრო არ არის მისვლისა, მაშინ რა გაეწყობა, თავს ვერ იმართლებ და როცა დრო არის, მაშინ-კი სასეირნოთ არიან წასული უფროსი მოხელე და მასთან მისი თანაშემწე. ურიგო არ იქნება, ვინმე ასეთს დაუდევრობას ყურს გამოაბამდეს და თვითონ ბ-ნი ფოსტის უფროსი გაირჯებოდეს წესრიგის ჩამოსაგდებათ.

მოვაჭრე.

⁂ **ბათომი. „არტელის“ საქმე.***) ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გამოვაქვეყნოთ შემდეგი: 1889 წელსა, სექტემბრის თვეში, უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა (ქ. ბათომში) წესდება, ეგრედ წოდებული „არტელისა“ (Батумская Артель грузовщиковъ), რომლის მოქმედება იყო ყოველ გემებზე აელო დატვირთვისა და დაცლის მუშაობა...

ამ წესდებაში, სხვათა დამფუძნებელთა შორის, მეც, თქვენს უმორჩილესს მონასაც, მიმიძღვის შრომა. დამფუძნებელნი—ყველანი ქართველები ვართ.

წესდების დამტკიცების შემდეგ კიდევ მოგვემატნენ რამოდენიმენი ქართველები ასე, რომ ყველა ორმოც კაცამდე ვიყავით. თვითოეულმა ჩვენგანმა 200 მანათი წარვადგინეთ დროებით ჩვენს შორის ამორჩეულ პირთა საჭიროებისათვის... დამტკიცებული წესდება მივიღეთ, ყრილობა მოვახდინეთ და, თანახმად წესდებისა, ავირჩიეთ უფროსი (სტაროსტა) ბ. სარდიონ ლევანის ძე ქუთათელაძე, ხოლო მის თანაშემწედ, ნიკო ცომაია, ამათ კიდევ ჰყავდათ არჩეული 15 კაცი მუშათა მეთაურებად. საქმე დავიწყეთ...

რადგან საქმე ახალი დაწყებული იყო და თხოულობდა კარგ გზაზედ დაყენებას, ამის გამო, თანახმად ქუთათელაძის რჩევისა, მოვიწვიეთ ბ. თომა ჩიკვაიძე, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, მისი მჭევრ-მეტყველება ჩვენთვის არ გამოდგა: ბათომში ხმა დააგდეს: „ადვოკატი რად უნდათო“ ეს ხმა, გაიგო რა ბ. ჩიკვაიძემ, თავი დაგვანება, თავის ჯამაგირით, 600 მანათით, გზას გაუდგა...

შემდეგ მოვიწვიეთ ბ. გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი... ღვთის წინაშე, გიორგი წერეთელს ვერაფერში ვერ გავამტყუვნებთ და ვერ დავემდურებით, პირიქით, მადლობელი ვართ მისი, რომ ის სულ გვიქადაგებდა: ძმობას, ერთობას და სიყვარულს. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, გიორგიმაც გული აიყარა ერთის ჩვენშივე მყოფ ვაჟბატონის რ. მეძმარიაშვილის წყალობით...

თუმცა გიორგი ცდილობდა ეს ჩვენი საქმე კარგ გზაზედ დაეყენებინა, მაგრამ შრომა არ გაუვიდა და ან რას გახდებოდა იქ, „სადაც ალმართსა ხნავდა“; ამის გამო ისიც გზას გაუდგა, მიიღო რა ჩვენგან 900 მანეთამდის**). ამ ორ პირს თან დაედევნა სარდიონ ქუთათელაძეც!.. დარჩა „არტელის“ უფროსად ბ. ნიკო ცომაია, რომელსაც ეხმარებოდა ყოველ ანგარიშებში და მიწერ-მოწერაში ბ. რ. მეძმარიაშვილი, — ორივეს ჯამაგირი დავუნიშნეთ: პირველს, 60 მანათი, მეორეს-კი, 40 მანათი თვეში, დანარჩენ 65 კაცი კიდევ ავირჩიეთ მუშათა უფროსებად. ამათაც დღიური ჯამაგირი ჰქონდათ დანიშნული. ამნაირად საქმე დავიწყეთ, და კიდევაც კარგად მიდიოდა...

რადგან ორმოც კაციდგან 17 კაცი იქმნა საჭიროდ, ამიტომ, დანარჩენებმა სხვა და-სხვა ალაგს გავიბენით საქმისათვის იმ აზრით და იმედით, რომ „არტელის“ ნაწარმოებ საქმიდან შემოსავალს წლიურად მივიღებდით. დიახ, ასე გვეგონა, მაგრამ მოვტყუვდით: ბ. გიორგიმ გული მოიყვანა... ჩიკვაიძემ ქუთაისს მიაშურა... სარდიონ ქუთათელაძემაც თავი დაგვიკრა... წავიდა ჩვენგან... ამას თან გაჰყვა რ. მეძმარიაშვილი, რომელმაც თან.... მოხერხებით უმეტეს 1000 მანეთისა...

დარჩა ნიკო ცომაია, რომელიც ოთხის კაცის წასვლამ ფიქრში ჩააგდო. ამასაც, ჩვენდა საუბედუროდ, მოჰკიდებია ყვინთი და სძინავს სალათას ძილით...

აგერ რვა წელიწადია, რაც ცომაია თავობს ამ „არტელს“, მაგრამ განა ის ასრულებს იმას, რასაც წესდება ეუბნება? სულაც არა... წესდებაში სწერია: „სტაროსტა ვალდებულია, ყრილობა მოახდინოს, არტელის ანგარიში ორჯერ ნახოს წელიწადში. და მდგომარეობა „არტელის“ ანგარიშისა წარუდგინოს უფ. ფინანსთა მინისტრს, და, ამასთან ადგილობრივ გაზეთებშიაც დაბეჭდოს საყურადღებოდ წევრთა!.. თუმცა წესდება ბევრს რასმე ავალებს ბ. ნიკო ცომაიას, მაგრამ ის განა ამას ასრულებს? არა!..

აგერ რვა წელიწადი არის, „არტელის“ მოთავეა, ჯამაგირს ღებულობს, ორმოცის კაცის ძალით თავის პირად საქმეებს უფრო აკეთებს, ვიდრე „არტელისას“!..

კარგი იქნება, ბ. ნიკო ცომაია ამ რვა წლის დაწყებულ ანგარიშს გვიჩვენებდეს „არტელის“ შესახებ და ამით გაიმართლებდეს თავს წევრთა საყვედურიდგან.

ამნაირი მისი მოქმედება პატიოსნებაა ერთის მხრით; მხოლოდ მეორე მხრით წევრნი „არტელისა“, ნახავენ რა ანგარიშს არტელისას, ან უფრო გულ-მოდგინედ მოჰკიდებენ ხელს ან და მთლად გააუქმებენ არტელის მოქმედებას.. უკეთუ ბ. ცომაიამ არ დაგვაკმაყოფილა, იმ შემთხვევაში იძულებულნი ვიქნებით, საქმე სხვა ნაირად წავიყვანოთ, რაიცა, არ გვგონია, ვისთვისმე სასარგებლო იყოს.

სპირიდონ ზაქარიას ძე ხვიჩია.

⁂ **ს. მიქელ-გაბრიელი** (გურია) **ჩვენის ახალგაზდობის გულგრილობა სწავლა-განათლების გავრცელების საქმეში.** რამოდენისამე წლის წინად ჩვენს სოფელში ძალიან იშვიათად შეხვდებოდით კაცს, რომელსაც სცოდნოდა, ვინ არის ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ა. ყაზბეგი, ერთის სიტყვით, რომ სცოდნოდა ყველა თუ არა, ერთი-ორი მაინც ჩვენი მოღვაწეთაგანი, რომლის ნაწარმოებიც, რასაკვირველია, ისე უცხო იყო იმისთვის, როგორც მისი ავტორნი. აი ეხლა რას ვხედავთ. შეიყრის . თავს შვიდი-რვა კაცი ერთად თუ არა, მაშინვე ლაპარაკი ჩამოვარდება, რომელსამე მწერალზე, ან პოეტზედ და მოშივებულსავით ჰგლეჯენ ხელში ერთმანეთს იმათ ნათქვამს ან ნაწერს. ხშირად მოხდება, რომელიმე ადგილი წაკითხული თხზულებისა, იმათში მოუბარს კარგათ აღარ ახსოვს და იძულებულია ან თავი დაანებოს მოთხრობას, ან არა დამახინჯებულად გადასცეს თავის მესაუბრეთ, რაც, რასაკვირველია, ხშირად გაუკრავს პირდაპირ მიმართულებას ამა თუ იმ თხზულების შინაარსს. ღირსია შენიშვნის ისიც, რომ თუ ერთს აქვს წაკითხული რამეები და მეორეს არა, იმ შემთხვევაში ეს უკანასკნელი ფრიად დამცირებულს გრძნობს თავის თავს. ყველას სურს ამისთანა წიგნები თვითონ წაიკითხონ, გაიგონ და თავის ცოლ-შვილსაც გადასცენ წაკითხული; მაგრამ სად უნდა იშოვნოს კაცმა ეს წიგნი? აღარსად!..

ჩვენი სოფლიდგან ხუთი ექვსი ყმაწვილია საშუალო სასწავლებლებში: ზოგი სამასწავლებლო ინსტიტუტში და ზოგი სასულიერო სემინარიაში; აი ამ ყმაწვილების გულგრილობა გვაკვირვებს ნამეტნავად: იმათ არც ერთხელ არ წარმოსცდენიათ სიტყვა ჩვენს სოფელში ბიბლიოთექის დაარსებაზე, თუმცა ხალხის წყურვილი კითხვისადმი მათთვისაც აშკარაა.

ამოდენა საზოგადოება, როგორიც მიქელ-გაბრიელია (მიქელ-გაბრიელის საზოგადოებას შეადგენენ ხუთი მოზრდილი სოფელი), ადვილად მოახერხებს ბიბლიოთექის შენახვას, მით უმეტეს, რომ შიგ ურევიან ისეთნი პირნი, რომლებიც თუმნობით შესწირავენ ამ საქმეს და წინამძღოლობაც შეუძლიათ იკისრონ მისი. მე დარწმუნებული ვარ, არა მცირედ შემწეობას აღმოუჩენენ ამ საქმეს თვით მანდილოსნებიც. მხოლოდ ამ ყმაწვილებს კითხვა აღეძრათ ბიბლიოთექის დაარსებაზედ და იგინი თვითონ ნახავდნენ, რამდენი მოსარჩლე აღმოუჩნდებოდა ამ საქმეს.

წელიწადში სამი თვე ხომ ყოველთვის სოფელში არიან ეს ყმაწვილები თავისუფლად ზაფხულობით; მაშ რას აკეთებენ ამ დროს ის ყმაწვილები?.

არიან სახლში გულხელ-დაკრეფილნი და შეჰყურებენ ამ შავი-ზღვის პირად მდებარე მწვანით შემოსილს ტყეს და ველს!

აბა წარმოდგენის გამართვა ჩვენს სოფელში იმათ ჯერ აინუნშიაც არ მოსვლიათ.

აი კანიკულებმაც მოაწია; იმედი ვიქონიოთ, ეს ყმაწვილები წრეულს მაინც აღარ დაგვტოვებენ უწარმოდგენოთ და ბიბლიოთექის დაარსების საქმესაც „თავ-ყურს“ შეაბმენ.

ასე ყმაწვილებო! ამ თავიდგანვე შევეჩვიოთ მამულის სამსახურს, რომელიც ყველას ვალად გვაქვს; ჩვენი მამები თუ ხმალით ხელში კი ემსახურებოდნენ სამშობლოს, ჩვენ რაღად უნდა გვეზარებოდეს ორიოდე სიტყვის დახარჯვა მისთვის, როდესაც იგი საჭიროებს ამას!.

⁂ **იქიდანვე. უწვიმობა და გვალვა.** აგერ მაისი გავიდა ასე, რომ ერთი წვეთი წვიმა არ ჩამოვარდნილა. სახნავ-სათესი, მინდვრები ისე გამომხმარია, რომ მისი დათესვა უწვიმოთ შეუძლებელია. წრეულს სიმინდის უფასობაზე გვაკლდა გულს, თუმც მოსავალი ნამეტარი კარგი იყო; მაგრამ ეხლა სიმ-

---

*) მივაქცევთ რა მკითხველების ყურადღებას ამ წერილს, გულის-ტკენით აღვნიშნავთ, თუ რა მავნე მიზეზები ზედ-მოქმედებენ ხოლმე ჩვენებურ სხვა-და-სხვა საერთო და საზოგადო საქმეებზე და რა გარემოებანი უთხრიან საფლავს. რედ.

**) ახლაც დაგვემდურება გეურქ-ალა. რედ.

ინდის უფასობაზედ მოუსავლობა თუ კიდევ დაგვერთო, თქვენი მტერია, ჩვენ სწორედ წყალში გადასაგდები შევიქნებით, რადგანაც ჩვენის ცხოვრების სახსარი ერთად-ერთი ყანაა.

ვაკელი.

⁂ **გურია. უსამართლო საყვედური.** ამას წინედ გაზეთ „ივერიის“ საშუალებით დავეკითხე გურიის ამხანაგობის ახლად არჩეულ სარევიზიო კომისიის წევრებს. რომლებსაც მინდობილი ჰქონდათ განეხილათ წარსულ 1896 წლის ანგარიში და წარმოედგინათ ახლად არა ჩვეულებრივ კრებისთვის, მაგრამ აგერ ოთხი თვე მიმდინარეობს, რაც საზოგადო კრებას სარევიზიო კომისიის წევრები აურჩევიათ, და ჯერაც ვერ გაგვიგია ამხანაგობის ანგარიშები და მდგომარეობა მისი. ამასთან იმავე წერილში მოკლედ იმასაც ვამბობდი, თუ როგორი ეჭვი და მითქმა-მოთქმა გავრცელდა ამხანაგობაზე ხალხში, რომ დარწმუნებული ვიყავი, ამგვარი ლაპარაკი ზარალს მოუტანდა ამხანაგობას. ყველა ამ ეჭვის და მითქმა-მოთქმის მოსასპობად დავინახე საჭიროდ, დროზე გაეგო ხალხს ყოველივე ანგარიში და დარწმუნებულიყვნენ, რომ ამხანაგობა ჯერ არ ჩამქრალა და არც არა უდევს ისეთი წინ, რომ ჩაქრეს. ამ წერილის შემდეგ ამხანაგობის გამგეობამ (თუმცა არც-კი ვიცით, ვინ შეადგენენ გამგეობას). გამოაცხადა „მცირე შენიშვნის“ სათაურით: შემცდარია გოგიჩაიშვილი, ამხანაგობას ამგვარად რომ იხსენიებსო. მაზე არც ეჭვი და არც მითქმა-მოთქმა გავრცელებულა, ვითომც ამხანაგობას წელს ვაჭრობა არ ექნება და ყველა საპატიო წევრები ვითომც ჩამოსცლოდეს. პირიქით წელს 3000 მანათი საწევრო ფული შემოვიდა და შარშან თუ ორმოცი არშინი სახმობი ფარდული ჰქონდა ამხანაგობას, წელს ასი არშინი მიუმატა და ერთის მაგიერ სამ-ოთხ ადგილას ექმნება ვაჭრობა გამართული. პარკის სავაჭროდ ამხანაგობას ნაშთარი აქვს 20—30 ათასი მანათი და მზად არის სავაჭროდ,—თუ რამემ არ შეაფერხაო.

ამის შემდეგ გავიდა დრო. მოახლოვდა პარკის ვაჭრობა და ჩვენი ამხანაგობის მმართველი მოგვადგა კარს, რომელმაც შემდეგი სამწუხარო ამბავი გვაცნობა: ეჭვი გამართლდა. წელს მართლაც ვაჭრობა არ გვექნება, რადგანაც ფული ერთი გროშიც-კი არ გაგვაჩნია და ვერც სასესხებლად ვიშოვეთ. ყველა ეს გოგიჩაიშვილის წერილმა მოახდინა, რომელმაც სწორედ ისეთ დროზე გაუშვა ის წერილი, როცა ფულის შოვნას ვაპირებდით, მაგრამ დახე, რომ იმ წერილის შემდეგ ნდობა დაჰკარგა ამხანაგობამ და ყველა ბანკებში კარები დაგვიკეტესო! ეს ამბავი დღეს საზოგადოებაშია გავრცელებული, ამხანაგობის მმართველის მიერ, რომელმაც ჩემთან კერძო უკმაყოფილების გულისათვის ხალხში გაავრცელა ასეთი ხმები. ამისთვის გთხოვთ ბატონო რედაქტორო, ნება მომცეთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ჩემი სიმართლე აღვადგინო და ის უმართებულო საყვედური, რომელსაც მე დღეს საზოგადოება მიცხადებს, თავიდგან ავიცდინო და დავანახვო მათ, რომ მე ისეთი არაფერი დამიწერია, რომ სიმართლეს მოკლებული ყოფილიყოს და ან იმ დაწერით არამც თუ ამხანაგობისთვის, არამედ ვინმესთვის ზარალი მომეტანოს. ჩემის შემდეგის წერილიდგან ნათლად დაინახავს ყველა პატივცემული პირი, რომ მე არაფერი დანაშაულობა მიმიძღვის იმდენად, რამდენათაც იმ პირს, რომელმაც ასეთ პატარა რამის შემწეობით დიდი შეცდომისაგან თავი გაიმართლა და თავის შეცდომა მე თავზე შემომახვია.

ჩემს წერილში (იხ. „ივერია“ № 84.) ვამბობდი: საჭიროა დროზე გვაცნობოს სარევიზიო კომისიამ ყოველივე ანგარიში წარსულ წლის მოქმედებისა და მით დავრწმუნდეთ, რომ ამხანაგობის საქმე კარგად მიმდინარეობს. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ეჭვი და მითქმა მოთქმა მრავალია, რომელიც ზარალის მომტანი იქმნება ამხანაგობისთვის. ხალხს ჰგონია, რომ ამხანაგობას წელს ვაჭრობა აღარ ექმნება, რადგანაც ყველა საპატიო წევრი ჩამოეცალა, რაც ოზურგეთსა და ლანჩხუთს შორის უკმაყოფილება მოხდა მეთქი. აი, ეს იყო მთელი ჩემი წერილი, რომლითაც იხელმძღვანელა ამხანაგობის მმართველმა და თავის დანაშაულობა მე შემომახვია თავზე და თვითონ-კი ნავში ჩამჯდარი განზე გაცურდა. ყველა ჩემი სიტყვები სიმართლისაგან იყო აშენებული და ვერც თვითონ ამხანაგობის მმართველი იტყვის, რომ ეჭვი და მითქმა-მოთქმა არ ყოფილიყოს ხალხში გავრცელებული. დაეკითხოს აბა საზოგადოებას, როგორი ხმები ტრიალებდა ხალხში ამხანაგობაზე და მაშინ დარწმუნდება, რომ ყველა ჩემი ნათქვამი მართალია. ნუ თუ ჩვენი ამხანაგობის მმართველი უარს იტყვის იმაზე, თუ როგორი სახელი მოიხვეჭა ამხანაგობამ მას შემდეგ, რაც კრება ოზურგეთში გადაიტანა და ის ადგილი, სადაც უპირველესად ამხანაგობამ წარმოება დაიწყო, მეტი წევრები შეიძინა, მეტი თანაგრძნობა დაინახა ხალხისაგან, ყველა ესენი უყურადღებოდ დატოვეს და მაინც ჯერ, ახლათ გაფურჩქნულ საქმეში პარტიობა გააჩინეს!? ნუ თუ ეს საკმარისი არ იყო, ხალხს ეფიქრა, საქმე წამხდარია, ხელიდგან გვეცლებაო?!. ნუ თუ არც ის არის მართალი, რომ ერთი საპატიო წევრი, რომელმაც წარსულ წელში მცირედის სარგებლით 8000 მანათი ასესხა ამხანაგობას და დღეს ის წევრი ამხანაგობაზედ გულგრილად არის!?. რა იყო ყველა ამაების მიზეზი? რისთვის მოხდა ასეთი ამბავი და ისეთი შეძლებული პირი ამხანაგობის გამგეობამ თავიდგან მოიცილა?! ამ დრომდი კიდევ ვფიქრობდით: უთუოდ ამხანაგობას აქვს სადმე ფულის იმედი, თორემ ასეთ შეძლებულ პირს განზე არ გაისროდენ მეთქი, მაგრამ, წარმოიდგინეთ, თურმე, არც იმედი ჰქონიათ და სრულიად მოუფიქრებლად ჩადენიათ ასეთი საქმე!.. დღეს-კი, როცა საჭირო იყო ამხანაგობას რაც შეიძლება მეტი ფული ეშოვნა პარკის სავაჭროთ და მით აქვე მოვაჭრე ბერძენ-სომხებისთვის კონკურენცია გაეწია, ჯიბე ცარიელი მოგვადგა და თავიც იმითი გაიმართლა, გოგიჩაიშვილის წერილმა დაგვიკარგა ნაშთარი კრედიტიო! საკვირველია, ღმერთმანი! განა რა იყო ისეთი ჩემს წერილში, რომ იმითი ამხანაგობას ნდობა დაჰკარგოდა?!. მე მხოლოდ ამხანაგობის სარევიზიო კომისიის წევრებს ანგარიშს ვსთხოვდი და ეგ ხომ ყველა ვაჭრობაში მიღებულია, ანგარიშის შესწორება?! მაშ რაღაში მაქვს ბრალი, რომელსაც ჩვენი საზოგადოება, ამხანაგობის მმართველის მიერ შეგონებული მისაყვედურებს?!. ჩემის აზრით არაფერში. მხოლოდ ამითი ისარგებლა ამხანაგობის მმართველმა და როცა საქმე წაახდინა, ფულის შოვნა ვერ შესძლო, მე თავზე შემომახვია და თავისი თავი-კი უდანაშაულოდ აღიარა.

მე მაინც მოვიწვევ თუ თანახმა გაიხდება ამხანაგობის მმართველი, იმავე საზოგადოებას, რომლის შემწეობით ვიხელმძღვანელე და მათი ნალაპარაკევი ამხანაგობაზე გაზეთში გამოვაქვეყნე. დეე, იმავე საზოგადოებამ დასდოს ჩვენ შორის მაჯავრი, ვინ მართალია და ვინ მტყუანი, რომელიც უფრო ნათელს მოჰფენს ჩვენ შორის ატეხილ ლაპარაკს, მაგრამ ასეთ საქმეში განა ჩვენი ამხანაგობის მმართველი, სხვა ვინმეს გაჰყოლია, რომ მე გამომყვეს?!.

თავისი სიტყვიერი ბეზღობა აღარ მაკმარა ამხანაგობის მმართველმა და „ცნობის ფურცლის“ მე·213·№-ში ვეებერთელა წერილი ამართა ჩემს წინააღმდეგ. იმავე წერილში ამხანაგობის მმართველი გვისაყვედურებს იმაზე, თუ რისთვის ვთქვით, მათი დარიგებული თესლი წახდაო, როცა ყველა ადგილას კარგი გამოდგა და თუ ვინმეს წაუხდა მოუვლელობითო. განა რა ინტერესი უნდა მქონოდა ამხინაგობისთვის უმართებულოდ ჩირქი მომეცხო, თუ რამ დანაშაულობა არ დამენახა, მაგრამ ამაზედ ლაპარაკსაც შევსწყვეტ, რადგანაც ყველა მისი სიტყვების გასამტყუნებლად დიდი დრო დაგვჭირდება და მხოლოდ მოკლეთ მოვახსენებ ამხინაგობის მმართველს. დაეკითხოს იმ საზოგადოებას საერთოდ, რამდენად ნაკლები გამოდგა ამხანაგობის მიერ დარიგებული თესლები და მაშინ დარწმუნდება, რომ ყოველი ჩემი სიტყვა სიმართლეა და იოტის ოდენა სიმტყუვნე არ მიმიძღვის.

რაც შეეხება იმას, რომ ვითომც მე პუბლიცისტობას ვჩემულობდე, სულ სიმართლეს მოკლებულია და არც ფიქრად მომსვლია, უბრალო კორესპონდენციის წერით პუბლიცისტობის სახელს მოველოდე. ეს სახელი ღმერთმა ისევ ამხანაგობის მმართველს მოახმაროს და როგორი აზრითაც ჩემზედ ამბობს ამ სახელს, ისევ მას მინიჭებოდეს, მხოლოდ ჩვენი ამხანაგობის საქმე სხვის ხელში გადასულიყოს და ისეთი სახელი მოეპოვებიოს, როგორიც დღეს კუხის და ხონის ამხანაგობას აქვს. ამის მოლოდინში მით უფრო ვართ, რომ ეხლა ვგონებ დარწმუნდა ჩვენი ამხანაგობის მმართველი, მას არა აქვს ამ საქმის გაგება და ამისთვის სხვას გადასცემს, თუ თვით მოყვარეობამ არ უარ-ყოფინო, მაგრამ ესეც ხომ უზნეობა იქნება, ვერც იგი გაუძღვეს, როგორც საჭიროა, და არც სხვას გარდასცეს!

ი. გოგიჩაიშვილი.

წვრილი ამბავი

მავნე მწერების გაწყვეტა ელექტრონით. იმ მწერების გაწყვეტა, რომელნიც აფუჭებენ და ვნებას აძლევენ ხეხილებს, ელექტრონის საშუალებით უცდის ამერიკელს აგრონომს გილდემს, რასაც მშვენიერი შედეგი მოჰყოლია და უთვალავი მწერი სულ გაწყვეტილა. ცნობილი აგრონომი აი როგორ მოქცეულა. ამოუთხრია ბაღში მიწა, ჩაუდვია შიგ ცინკის ნაჭერი და მავთულებით შეუერთებია ხეების ფესვებთან. გვალვის დროს არა მოქმედობს ეს ელექტრონის მანქანა. მხოლოდ საკმარისია ერთი ბეწვა წამონამგა, როცა მოქმედებაში მოვიდეს ელექტრონის მანქანა, რის გამოც უთვალავი მწერები მაშინვე იფანტებიან. გარდა იმისა, რომ მწერები სცილდებიან ხეს, ელექტრონისაგან მიწა ფუვდება, ნოყიერი ჰხდება და საზრდოს უმატებს ხეს.

ელექტრონის ეტლები. ქ. ნიუ-იორკში ამ ჟამად შემოუღიათ ელექტრონის ეტლები, რომელნიც საშინელის სისწრაფით დადიან. ეტლი შეგიძლიანთ ტელეფონით დაიბაროთ, რომელიც თვალის დახამხამებაზე თქვენთან გაჩნდება.

განცხადებანი

შემთხვევით იყიდება
ქართულ-რუსულ-ფრანგული
ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა.
ფასი **10** მან.
მსურველმა მოიკითხოს „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში.
ლექსიკონი გამოცემულია პეტერბურგში 1840 წ. და დაჯილდოვებულია დემიდოვის პრემიით.

(10—2)

ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОЛУГОДОВАЯ (съ 1 апрѣля по 1 октября) И ГОДОВАЯ ПОДПИСКА НА ЕЖЕМѢСЯЧНЫЙ НАУЧНО-ЛИТЕРАТУРНЫЙ И ПОЛИТИЧЕСКІЙ ЖУРНАЛЪ

„НОВОЕ СЛОВО“

вышла восьмая, майская книжка.

СОДЕРЖАНІЕ: 1. Въ горахъ. Эскизъ. В. Сѣрошевскаго. 2. Къ характеристикѣ экономическаго романтизма. Сисмонды и наши отечественные сисмондисты. К. Т—на. 3. Въ вратахъ эдема. Романъ В. Свѣтлова. 4. Принципъ эволюціи. Эдмона Перье. 5. Александръ Ивановичъ Герценъ и Наталья Александровна Захарьина. (Ихъ переписка). 6. Въ чужомъ гнѣздѣ. Романъ К. Ельцовой. 7. Очерки изъ исторіи общественныхъ идей и отношеній въ Германіи въ XIX вѣкѣ. С. Т. Р. 8. Избавленіе. Набросокъ. Маріана. 9. ⁂ Стихотворенія. Мих. Г. 10 Законъ причинности и свобода человѣческихъ дѣйствій. С. Булгакова. 11. Еще о свободѣ и необходимости. П. Струвѣ. 12. Яковъ Послѣдній. Романъ изъ быта австрійскихъ крестьянъ. П. К. Розеггера. 13. Развивается ли капитализмъ въ русскомъ землевладѣніи? И. Гурвича. 14. Н. И. Наумовъ. Н. К. 15. На разныя темы. III. „Мужики“ г. Чехова. Novus. 16. Новыя книги. 17. Къ вопросу о движеніи земельной собственности. Л. Р. 18. Грамотность въ связи съ дифференціацией деревни. С—каго. 19. Письма изъ провинціи. 1. Тверь. (Земскія дѣла). С. АН. Ч—аго. 2. Изъ юго-западнаго края. (Введеніе въ губерніяхъ края земскихъ учрежденій; изъ дѣятельности Кіевскаго абщества грамотности). С. Б. 20. Изъ жизни провинціи. Журналъ „Хозяинъ“ о русскомъ обществѣ.—Вопли и проекты г. Ярмонкина.—Призывы русскихъ аграріевъ къ объединенію.—Исчезновеніе патріархальнаго строя.—Становой-законодатель.—Оригинальный ревизоръ риго-орловской жел. дор. и железно-дорожные порядки.—Просвѣтительныя учрежденія и „неблагопріятныя условія“ мѣстной жизни.—Штатсъ-народникъ г. Гофштеттеръ. В. Богучарскаго. 21. Иностранное обозрѣніе. Греко-турецкая война.—Австро-русское сближеніе.—Историческая справка объ отношеніяхъ Греціи и Австріи къ Россіи.—Разложеніе Австро-Венгріи.—Національный вопросъ.—Императоръ и социалъ-демократы.—Нѣмецкіе культуртрегеры въ Африкѣ.—Пожаръ на улицѣ Гужона.—Покушеніе на жизнь короля Гумберта.—Колоніальныя войны Испаніи.—Первое примѣненіе маузеровскихъ ружей въ Испаніи. В. П. 22. Письма изъ-за границы. 1. Изъ Соединенныхъ штатовъ Сѣверной Америки. 1. Перемѣна администраціи. И. Г. 2. Изъ Австріи. I. Еще о выборахъ въ Галиціи. Л. Василевскаго. П. Избирательная борьба въ Вѣнѣ. П. Т. 23. Текущіе вопросы внутренней жизни. Высочайшій рескриптъ на имя статсъ-секретаря Дурново. Дворянскій вопросъ и его экономическая почва. Перспективы „рѣшительныхъ и всеобъемлющихъ реформъ“. Дореформенное дворянское управленіе. Культъ „принципа понужденія“.—Биметалистическая агитація. Докладъ г. Бутми и пренія по нему.—Предложеніе г. Стаховича, какъ одинъ изъ симптомовъ перемѣны настроенія въ первенствующемъ сословіи.—Изъ литературы вопроса о хлѣбныхъ цѣнахъ.—Новый законъ о печати.—Отмѣна паспортнаго сбора. Въ какой мѣрѣ уничтожаетъ она фискальное значеніе паспортной системы? П. Б. 24. Новыя книги, присланныя въ редакцію въ апрѣлѣ. 25. Объявленія.

При новомъ составѣ редакціи въ журналѣ принимаютъ участіе слѣдующія лица:

К. С. Баранцевичъ, проф. И. И. Боргманъ, С. Н. Булгаковъ, В. П. Быстренинъ, Ю. Н. Вагнеръ, В. Вересаевъ, проф. П. Г. Виноградовъ, В. В. Водовозовъ, Н. Гаринъ (Н. Г. Михайловскій), М. О. Гершензонъ, М. Горькій (А. М. Пешковъ), И. А. Гурвичъ, К. Ельцова, А. М. Калмыкова, Л. Ф. Крживицкій, проф. П. Ф. Лесгафтъ, Г. А. Мачтетъ, проф. П. Н. Милюковъ, В. Г. Михайловскій, Вл. И. Немировичъ-Данченко, пр. Д. Н. Овсяниковъ-Куликовскій, А. В. Погожевъ, В. А. Поссе, И. Н. Потапенко, Д. Д. Протопоповъ, В. Л. Свѣтловъ. М. Н. Семеновъ, П. Б. Струве, В. Л. Сѣрошевскій, М. И. Туганъ-Барановскій, В. А. Фаусекъ, Максъ Ферворнъ (профес. Іенскаго унив.), проф. Н. А. Холодковскій, Е. Н. Чириковъ, Т. Цигенъ (Th. Ziehen, проф. Іенскаго унив.), А. С. Шабельская. О. А. Шапиръ, А. И. Эртель, В. Я. Яковлевъ и др.

Годовая подписка на „НОВОЕ СЛОВО“ (отъ 25 до 30 печ. лист.) принимается **съ 1-го октября 1896 г. по 1-е октября 1897 г.**

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ пересылкой на годъ **10** р., на полгода **5** р., на три мѣсяца **2** р. **50** к.
Безъ пересылки на годъ **9** р., съ перес. за границу на годъ **12** р.
отдѣльныя книжки журнала по 1 рублю. За ту же цѣну можно выписывать журналъ и за 1-й годъ, съ 1 окт. 1895 г. по 1 окт. 1896 г.

Контора редакціи: С.-Петербургъ, Спасская ул. (уг. Надеждинской), д. № 15, кв. № 1. Отдѣленіе конторы: Въ С.-Петербургѣ —1) Невскій пр., д. № 54, „Библіотека Черкесова“; 2) Книжный складъ А. М. Калмыковой, Литейный пр. № 60. Въ Москвѣ: книжный Магазинъ „Трудъ“, Тверская, д. Спиридонова.

Подписка на полгода и на 3 мѣсяця допускается только черезъ контору редакціи и ея отдѣленія.

Лица, внесшія сразу полную подписную сумму за весь годъ, пользуются, кромѣ даровой пересылки, уступкой въ 10% со всѣхъ изданій О. Н. Поповой, исключая сочиненій Н. А. Добролюбова и изданій выходящихъ по подпискѣ.

Редакторъ **А. Н. Поповъ.**

Издатель **М. Н. Семеновъ.**

(3—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Юнія 1897 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21.
რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.